



4517/3-53/23 2 12062023



4517/3-53/23
12-06-2023

**საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს**

საქართველოში 2017 წლიდან მოქმედებს პროგრამა, რომელიც 9 წლის ზემოთ გოგოებსა და ქალებს უფასოდ აცრის პაპილომა ვირუსზე. პაპილომა ვირუსი (HPV) რეპროდუქციული ტრაქტის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ვირუსია. სქესობრივად აქტიური ქალებისა და კაცების უმეტესობა ინფიცირდება ცხოვრების რაღაც ეტაპზე და შესაძლებელია აგრეთვე განმეორებითი ინფიცირებაც. პაპილომა ვირუსის 100-ზე მეტი გენოტიპია ცნობილი, მათგან 13 - ონკო გენური ტიპია, რომლებიც ასოცირდებიან სასქესო ორგანოების კიბოს წინარე დაავადებებსა და კიბოსთან. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის თანახმად, ონკო გენურ ტიპებს შორის ყველაზე ხშირია მე-16 და მე-18 ტიპები. მე-16 ტიპზე მოდის საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევათა დაახლოებით ნახევარი, ხოლო მე-18 ტიპზე – 10-12%. პაპილომა ვირუსების სხვა ონკო გენური ტიპებია 31, 33, 45, 52, 58, რომელთაგან თითოეული ასოცირებულია გენიტალური სიმსივნეების 2-4%-თან. რაც შეეხება მე-6 და მე-11 ტიპებს, რომლებიც პაპილომა ვირუსების ძალიან ხშირი და გავრცელებული ტიპებია, ისინი არ იწვევს სიმსივნეებს და ასოცირებულია გენიტალური მეჭუჭყების განვითარებასთან.

ვაქცინაცია, რომლის ერთი დოზაც, სხვადასხვა ცნობით, სულ მცირე 400 ლარი ღირს - საქართველოში 27 წლამდე ქალებისთვის უფასოდ ხელმისაწვდომია ჯანდაცვის პირველადი რგოლის ცენტრებში, ანუ პოლიკლინიკებში, სადაც გეგმური აცრები ტარდება. 15 წლამდე ასაკობრივ კატეგორიას ვაქცინაცია ორჯერ უტარდება, ხოლო 15-ს ზემოთ - 3-ჯერ.

საჯარო წყაროებში ხელმიუწვდომელია განახლებული სტატისტიკური ინფორმაცია, თუ რამდენი გოგო და ქალია აცრილი პაპილომა ვირუსის ვაქცინით. NCDC-ის პორტალზე არსებული დოკუმენტის (გვერდი 30) თანახმად, 10-18 წლის კოჰორტაში პაპილომა ვირუსზე აცრილთა რაოდენობა 2020 წელს მცირედად აღემატებოდა 20%-ს.

სხვადასხვა მედიისთვის მიცემულ ინტერვიუებში, ექიმები ამბობენ, რომ პაპილომა ვირუსის აცრაზე მიმართვიანობა მაინც დაბალია. ამასთანავე, როგორც ცნობილია, საქართველოში აცრა 4-კომპონენტანია, დასავლეთის სხვა ქვეყნებში კი, მათ შორის, აშშ-ში აცრა 9-კომპონენტანია. მაღალკომპონენტანი აცრა ნიშნავს იმას, რომ ვაქცინა უფრო მეტი შტამისგან გიცავს.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მოგმართავთ საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის საფუძველზე და გთხოვთ მომაწოდოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1. ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით: 2017 წლიდან დღემდე, თითოეულ წელში რამდენი გოგო/ქალი აცრილი HPV ვაქცინით სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში? [გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ასაკობრივ ჭრილში]
2. 2021-2022 წელს HPV -ის რამდენი ვაქცინა შეისყიდა საქართველომ, რამდენი დაიხარჯა მათ შესაძენად სახელმწიფო ბიუჯეტიდან და აქედან რამდენი პროცენტი გაიხარჯა?
3. ამჯერად ქვეყანას ვაქცინის რა მარაგი აქვს? როდის გასდის ვადა ვაქცინას, ან უკვე ხომ არ გაუვიდა ვადა?
4. როდის იგეგმება საქართველოში HPV ვირუსის 9-პუნქტიანი ვაქცინის შემოტანა?
5. რატომ გადაწყდა პროგრამის გაფართოება და 27 წლამდე ქალების მოცვა?
6. ხომ არ იგეგმება, რომ პროგრამით მოსარგებლე ქალების ასაკობრივმა ზღვარმა კიდევ აიწიოს?
7. რა ღონისძიებები ტარდება HPV ვაქცინაციის წახალისებისთვის საქართველოში და ბიუჯეტიდან, რა თანხა დაიხარჯა ამაზე?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თამარ კორძაია